პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 9 (3493)
14
1968 წ. იანვარი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.





გრენობლი — 00 საათი

ფრანგებმა გადაწყვიტეს ზამთრის X ოლიმპიური თამაშები ისეთ „ჩარჩოში ჩაესვათ", რომ მისგან სუკუნის უდიდესი სანასაობა შეექმნათ. ცერემონიალის მომზადება დაევალა ცნობილ პუბლიცისტს ალენ დუშენს, დღესასწაულების გაძართვის დიდ სპეციალისტს. ფრანგების საყვარელი სატელევიზიო გადაცემა, ეგრეთ წოდებული „ვარსკვლავების ბაზარიც" ხომ მისი ჩანაფიქრია!

მთელ ორ წელიწადს ხელმძღვანელობდა დუშენი შტაბს, რომელშიც 143 კაცი შედიოდა. მის განკარგულებაში იყო 2.130.000 ფრანკი. დუშენმა შეადგინა ცერემონიალის დეტალური გეგმა: ზეიმს გადასცემს ტელევიზიის 14 სადგური და ფერადი ტელევიზია. დღესასწაული გაიმართება გრენობლის სტადიონზე, რომელიც 70 ათას კაცს იტევს.

13.00 — სტადიონის გახსნა.

14.00 — კონცერტი. უკრავს 700 მუსიკოსი. მოედანზეა ისტორიულ უნიფორმებსა და ხაოხურ ტანსაცმელში გამოწყობილი 3000 სტატისტი.

15.30 — მოდის გენერალი დე გოლი. გუნდი მღერის „მარსელიეზას".

15.40 — მონაწილეთა აღლუმი. ოლიმპიური მარშის ხმაზე სტადიონზე შემოდის 1.800 სპორტსმენი. პირველი მოდის საბერძნეთი, ბოლოს — საფრანგეთი.

15.55 — დაფდაფების ხმაზე ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე საფრანგეთის პრეზიდენტს სთხოვს გახსნას ასპარეზობა.

16.05 — ოლიმპიური ალამი აღმართულია! აღიმართება სხვადასხვა ქვეყნის 500 დროშაც. ტრიბუნებზე ცვივა რაკეტიდან ნატყორცნი 3000 სურნელოვანი ვარდი.

16.21 — ქვემეხთა ბათქი ემილ ალეს და ჟან ვიორეს ანიშნებს, რომ ოლიმპიური ჩირაღდნით გამოვიდნენ სტადიონზე. ოლიმპიური ცეცხლის ანთებისას, ასევე ორივე მოთხილამურის რბენის დროს, რეპროდუქტორები გადასცემენ მათ გულისცემას.

16.35 — ოლიმპიური ფიცი.

17.00 — „მარსელიეზა" ნიშნად იმისა, რომ სხლომწიფოს მეთაური სტადიონს.

20.00 — ფეიერვერკი. დასასრულს ახალგაზრდა მოღერალი, გრენობლის მკვიდრი კრისტინა ბარკი ასრულებს მიშელ ფუჟეს „ოლიმპიურ სიმღერას გრენობლიდან" (კომპოზიტორიც, რასაკვირველია, გრენობლის მკვიდრია).

ა. დუშენს ეპარა გარეთების საქმეც. დახმარების მოსურნე ბევრი აღმოჩნდა. ამერიკელმა ფაბრიკანტმა 319 მუსიკალური ყუთი გამოგზავნა გრენობლში და ყველა უახლესი მოდელის.

ცნობილი კინორეჟისორი როჟე ვადიმი თამაშების ორგანიზატორებს დაპირდა, რომ გამოსვლაზე დათანხმებს ისეთ გამორჩენილ მსახიობებს, როგორიც არიან ტინო რისი, მიშელ მორგანი, ჟილბერ ბეკო, ლუიზა მარიანო, დალიდა, მირელ დარკი, რიჩარდ ანტონი, ბურვილი, ახალგაზრდობის საყვარელი მომღერალი ადამი. როგორც ჩანს, ყველა გამონახავს თავის გასართობს და გრენობლში მოსაწყენად არავის ეცლება.

ჟურნალი „სპორტოვეცი" (პოლონეთი).

* * *

სურათებზე: 1. მეშახტის სპეციალური ნათურა ოლიმპიური ცეცხლით და საცდელი ნახტომი ანთებული ჩირაღდნით. 2. გვიან შემოდგომამდე გრენობლში საუცხოო, მზიანი დარი იდგა, ამიტომ თითქმის დამთავრებული ოლიმპიური მშენებლობის სურათის გადაღება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ასეთია მომავალი ოლიმპიური სოფელი, რომელშიც დაბინავდებიან ოფიციალური წარმომადგენლები და შეჯიბრებებში მონაწილე სპორტსმენები. 3. ასეთია გრენობლის უინულის სასახლის ინტერიერი (კომპოზიცია გაბედულია, საინტერესოდ გადაწყვეტილი).



საბჭოთა სტუდენტები — მსოფლიოს ჩემპიონები

ესენი (გფრ), 13 იანვარი. სტუდენტ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა საბჭოთა „ბურევესტნიკმა", რომელმაც აქ გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა რუმინეთის გუნდი — 17:16.

ეს იყო დრამატული ორთაბრძოლა. პირველი ტაიმი სსრ კავშირის სპორტსმენებმა დიდი უპირატესობით მოიგეს (13:8), მაგრამ შესვენების შემდეგ რუმინელმა სტუდენტებმა, რომელთაგან ბევრი ეროვნულ ნაკრებში შედის, წარმოუდგენელი მოწადინების ფასად გაათანაბრეს ანგარიში — 16:16.

დამატებით დროში საბჭოთა ხელბურთელებმა კვლავ იგდეს ხელთ ინიციატივა და მათმა საუკეთესო ბომბარდირმა კლიმოვმა გამარჯვების გოლი გაიტანა. მან ამ თამაშში სულ 7 ბურთი შეაგდო მეტოქის კარში 3-ჯ ბურთის ავტორები არიან შაიუკი და გულბისი, ორ-ორისა — მაქსიმოვი და ზდორენკო.

„ბურევესტნიკის" ნაკრების ღირსებას ჩემპიონატში იცავდნენ: შეკარეები — ვილსონი (რიგა) და ხუციშვილი (თბილისი), მოედნის მოთამაშეები — კლიმოვი, ეფიმოვი, რუსაკოვი, ზოტოვი (ყველა — მოსკოელი), გულბისი (რიგა), შაიუკი (მინსკი), ფხაკაძე (თბილისი). მაქსიმოვი (კრასნოდარი), ზდორენკო, პანოვი (ორივე — კიევი). გუნდს წვრთნიდა ა. ევტუშენკო.

ვერცხლის მედლები გადაეცათ რუმინელებს, ბრინჯაოსი — შვედებს, რომლებმაც III ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები — 23:19.



◆ პარიზი, 13 იანვარი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი გრენობლის თეთრი ოლიმპიადის გახსნის (5 თებერვალი) ცერემონიალის გარდა აპირებს 17 თებერვალს დაესწროს სლალომისტი ვაჟების ფინალურ შეჯიბრებას.

ბიატლონისტების გამოსათხოვარი სალუტი

ვორონეჟი, 12 იანვარი. ვორონეჟის მიებში მიწყდა ბიატლონისტთა შაშხანების ხმა. სსრ კავშირის პირველი ნაკრების მოთხილამურეებმა დიდი უპირატესობით მოიგეს საკავშირო შეჯიბრების ყველაზე აზარტული სახეობა — ესტაფეტა 4×7,5 კილომეტრზე: 2 საათი, 14 წუთი და 33 წამი. მათ 4 წუთითა და 59 წამით ჩამოიტოვეს საბჭოთა არმიის პირველი გუნდის სპორტსმენები, რომლებიც II ადგილზე გავიდნენ. მესამე იყო პროფკავშირთა პირველი გუნდი — 2:19.48. IV ადგილზეა სსრ კავშირის მეორე ნაკრები — 2:20.50.

მიმზიდველ შეჯიბრებას, სამწუხაროდ, თითქმის არ ჰყავდა მაყურებელი. სასროლეთზეც კი სულ ორ ათეულ გულშემატკივარს თუ დაითვლიდით. მხოლოდ მათ შეეძლოთ შეეფასებინათ ოსტატობა სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდის წევრის, ლენინგრადელი ნ. პუზანოვისა, რომელმაც ათი გასროლით ათი სამიზნე დაამსხვრია. პუზანოვმა „გამოასწორა" თავისი ახალგაზრდა თანაგუნდელის, ნოვოსიბირსკელი ა. ტიხონოვის შეცდომა, რომელმაც ორჯერ აცდინა მეორე ზღუდესთან.

ლენინგრადელის შედეგი ეტაპზე — 32 წუთი, 47 წამი დღეს საუკეთესო იყო. ჩელიაბინსკელმა ვ. გუნდარცევმა და მსოფლიო ჩემპიონმა, ნოვოსიბირსკელმა ვ. მამატოვმა სხვა ეტაპებზე შორს ჩამოიტოვეს „მდევრები" და ნამდვილი ოლიმპიური ფორმა გამოავლინეს.

ესტაფეტა იყო ბოლო შესაძლებლობა, რომ მწვრთნელებს ჩამოეყალიბებინათ თავიანთი შეხედულება ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებზე. როცა გრენობლში წამსვლელთა ვიანაობას ჰკითხავენ, ისინი ჯერჯერობით მხოლოდ იღიმებიან პასუხად.

ჩვენმა ბიატლონისტებმა ვორონეჟის ტრასებზე დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ოქროს მედლებისთვის ბრძოლა. ეს ითქმის გამარჯვებულ გუნდის ყველა წევრზე და ისეთ ოსტატებზე, როგორიც არიან კი

სპორტი, რომელიც უყვარდათ პითაგორს, ჩაპლინს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა IV საუბილეო სპარტაკიადის დამთავრებიდან უკვე ხუთ თვეზე მეტი გავიდა. კარგა ხანია ცნობილია სპორტსმენთა ამ უდიდესი ფორუმის გმირთა, პრიზიორთა და აუტსაიდერთა სახელები.

ამ წერილში ვილაპარაკებთ აუტსაიდერებზე — საქართველოს მოკრივეებზე. კერძოდ, ვილაპარაკებთ ზოგიერთ იმ მიზეზზე, რაც მრავალი წელია ხელს უშლის კრივის სათანადოდ განვითარებას ჩვენს ქვეშმარიტად სპორტულ რესპუბლიკაში...

სპარტაკიადაში გუნდი ძალიან ცუდად გამოვიდა. იგი შედგენილი იყო ძირითადად ვეტერანი სპორტსმენებით, რომლებიც დიდი ხანია იცავენ რესპუბლიკის ღირსებას. უცნაურია, მაგრამ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში სამშის მონაწილეს ნ. ქიქავას (1959, 1963 და 1967 წ. წ.) მთელს საქართველოში არ გამოუჩნდა ღირსეული შემცვლელი.

ჩვენმა რესპუბლიკამ მოკრივეთა შეხანდესი ალეგადა აღზარდა. ესენი არიან: შ. გორგასლიძე, ა. ნავასარდოვი, გ. ვართანოვი, ლ. ღუდუშაური, გ. ხანუკაშვილი. ყოველი მათგანი სსრ კავშირის ჩემპიონი იყო (ბოლო ჩემპიონი გახლდათ გ. ხანუკაშვილი 1948-49 წლებში).

მაგრამ, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გეჩვენოთ, გავიდა თითქმის 20 წელი და უფროს თაობას ღირსეული ცვლა არ გამოსჩენია. არ გვაკვს საბჭოთა კავშირის არც ერთი ჩემპიონი, არც ერთი საერთაშორისო კლასის ოსტატი.

უკან დარჩა სსრ კავშირის ხალხთა ოთხი სპარტაკიადა. არც ერთი ჩემპიონი! მხოლოდ შ. კოზაევმა, ჯ. კვანტალიანმა და ნ. ქიქავამ შეძლეს პრიზიორები გამხდარიყვნენ.

უნებლიედ იბადება კითხვები: რატომ? როგორ? რით შეგვიძლია დავეხმაროთ მოკრივეებს? ვინ არის დამნაშავე?... მხ. რეცეპტების ერთბაშად მოძებნა, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ თუ ღრმად ჩავწვდებით ამ მოვლენის არსს, ზოგიერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება.

ცნობილია, რომ ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე კრივი ძალიან შეიცვალა. სამოყვარულო კრივის ჰეგემონია მსოფლიოში, როგორც ცნობილია, საბჭოთა მოკრივეებს ეკუთვნით. ისინი უმაღლეს კლასსა და უდიდეს ვაჟკაცობას გვიჩვენებენ საერთაშორისო სარბიელზე.

ახლა, მაგალითად, საერთაშორისო კლასის მოკრივე რომ გახდე, ვარჯიში ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყო, როგორც ეს სპორტის სხვა სახეობებში ხდება (გამონაკლისებზე არ ვლაპარაკობთ). როგორაა ამ მხრივ საქმე ჩვენში? კრივის დარბაზს მოშავალი ბავშვი ალბათ ერთ-ორ თვეში ეცილება ოსტატობის ნორმატივებს, ერთ-ორ წელიწადში ... ოსტატობის ნორმატივებს. ... ეს ... ...

ხურათზე: თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელი კ. ასათიანი (თეთრ მაისურში) თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თანაბარძალოვანი მეოთხედფინალისტები

ახლა, როცა ცნობილი გახდა ის 8 გუნდი, რომლებიც გავიდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში, შესამჩნევია, რომ პროგნოზების მოუყვარული კომენტატორები თავს იკავებენ ფავორიტების დასახელებისგან. ამას ისინი საფუძვლად უდებენ 8 პრეტენდენტის ტოლფასოვნებას და ყოველ გუნდში თითოეროლა ვარსკვლავის ყოვლისშემძლე ოსტატობას. მართლაც, ამა, ხცადეთ დაასახელოთ გამარჯვებულები ამ წყვილებიდან: „ბენფიკა“ — „ვაშაში“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „გურნიკი“, „სპარტა“ — „რეალი“, „აინტრახტი“ — „იუვენტუსი“.

ცნობილი გახდა, რომ პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა შედგება 31 იანვარს ბრაუნშვაიგში ადგილობრივ „აინტრახტსა“ და ტურინის „იუვენტუსს“ შორის.

გფრ-ის ჩემპიონი ამ ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონატში ლიდერთა ჯგუფშიც კი არ იმყოფება, მაგრამ მისი შანსები შეფასებისას ყველას უნდა ახსოვდეს, როგორი თავგამოდებით თამაშობდნენ ბრაუნშვაიგელები მერვედფინალში ვენის „რაპიდის“ წინააღმდეგ. „აინტრახტში“ უძლიერესი არიან მეკარე ვოლტერი და თავდამსხმელი ულზასი.

„აინტრახტის“ მეტოქე, ცნობილი იტალიური კლუბი—ტურინის „იუვენტუსი“ ამჟამად ჩინებულ ფორმაშია და განსაკუთრებით გამოირჩევა დაცვის ხაზის კარგი თამაშით. გუნდის უძლიერესი წევრები არიან მცველები გორი, ლეონჩინი, კასტანო, სალვადორე. თავდასხმაში ტურინელებს ჰყავთ ისეთი ოსტატები, როგორიც არიან ჩინეზინიო, დე პაოლი და ძიგონი.

სპორტული პრესის ცხოველ ინტერესს იწვევს ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და პოლონეთის „გურნიკის“ მოსავალი მატჩები. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამჟამად ბრიტანეთის საუკეთესო გუნდია, მის შემადგენლობაში თამაშობენ ისეთი ოსტატები, როგორც რ. ჩარლტონი, ბესტი, კერრანდი, ლოუ, სტაილსი, ასტონი და კიდი, მაგრამ არც „გურნიკია“ ნაკლებ ბრძოლისუნარიანი და მასაც ჰყავს ვარსკვლავები: კოსტკა, ოსლიზლო, შოლტისეკი, ლიუბანსკი და მუსიალეკი.

ცენტრფორვარდი ლიუბანსკი, რომელსაც ზოგიერთი კომენტატორი ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელად ასახელებს, პოლონეთის 1967 წლის საუკეთესო ფეხბურთელად იქნა გამოცხადებული. „გურნიკი“ გამალებით ემზადება ინგლისის ჩემპიონთან შეხვედრისთვის და თებერვლის პირველ სამ კვირას შავი ზღვის სანაპიროზე გაატარებს, სადაც შეხვდება უძლიერეს საბჭოთა გუნდებს. 28 თებერვალს მანჩესტერში შედგება პირველი მატჩი და არ არის გამორიცხული, რომ პოლონელები „კიევურ სენსაციას“ მანჩესტერშიც გაიმეორებენ.

ალბათ, არც ერთი ევროპული საკლუბო გუნდი არ იყო წარსულში ისე ცნობილი, როგორც მადრიდის „რეალი“. სწორედ ამიტომ მიაჩნიათ მისი ახლანდელი თამაში ფეხბურთის სპეციალისტებს უღიმღამოდ. ტურნირის მეოთხედფინალს „რეალმა“ მწვავე ბრძოლის (ჰოლანდიის „აიაქსსა“ და დანიის „ჰვიდოვრესთან“) შემდეგ მიაღწია და, შესაძლოა, ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ ესპანეთში საფეხბურთო ხეზონი ახალი დაწყებული გახლდათ და გუნდი საბრძოლო ფორმაში არ იყო.

„რეალში“ რამდენიმე გამოუცდელი მოთამაშე მოვიდა (მეკარე ხუნკერა, სტოპერი სუნსუნეგი, ცენტრფორვარდი დე დიეგო) და ვეტერანებიდან იქ მხოლოდ ჰენტო დარჩა. გუნდის უძლიერესი რგოლია ნახევარდაცვა, სადაც თამაშობენ პირი, ველოსო და ველასკესი. „რეალის“ მეტოქე — პრაღის „სპარტა“ გამოცდილი კოლექტივია, რომელსაც მუდამ ახასიათებდა თამაშის შემტევი სტილი. კარს იცავს კრამერიუსი, გუნდს ჰყავს ისეთი ნახევარმცველები, როგორც დიბა, კვაშნიაკი და ვოიტა. უძლიერესი რგოლია თავდასხმა: ვესელი. პოსპიხალი, მაშეკი, ვრანა, მრაზი და 18 წლის იურკანინი.

„რეალისა“ და „სპარტას“ შეხვედრებს საინტერესოს ხდის ის გარემოებაც, რომ ესპანელი და ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელები ბოლო წლებში ხშირად ხვდებიან და შედარებით კარგადაც იცნობენ ერთმანეთს.

საერთო აღიარებით უველაზე ძნელია ფავორიტის დასახელება წყვილში: „ბენფიკა“ — „ვაშაში“. „ვაშაში“ უნგრეთის ბოლო ჩემპიონატში II ადგილზე გავიდა. იგი მეტისმეტად ძლიერი გუნდია, რომლის ყველა რგოლში უნგრული ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენლებს ვხედავთ: დაცვაში — მესეის, ნახევარდაცვაში — მატეხსა და ფიშტერს, თავდასხმაში — ლ. პუშკაშს, მოლნარს, ფარკაშს.

„ვაშაში“ სწრაფი, ათლეტური გუნდია, რომლის დაცვა ძალზე სტაბილურად თამაშობს.

ლისაბონის „ბენფიკა“ შარშანდელივით ახლაც ერთგვარ კრიზისს განიცდის. ამას წინათ გუნდიდან წავიდა ცნობილი ჩილელი მწვრთნელი ფ. რიერა. ლისაბონელები შედარებით მოიხუსტებენ ტემპში, მაგრამ მათ ჰყავთ ეუსებიო, ტორესი, გრასა, სიმოესი, აუგუსტო! გუნდის ყველაზე არასტაბილური რგოლია დაცვა, სადაც დღემდე არ ჩანს უერმანოს ღირსეული შემცვლელი. საერთო აღიარებით, დღეს „ბენფიკა“ შედეგს აღწევს თავისი ვარსკვლავების ტექნიკის ხარჯზე და ამ თვალსაზრისით ბუდაპეშტის „ვაშაში“ მისთვის სერიოზული გამომცდელი იქნება.

ა. რონდელი.

ბელგიერი ბილეთები

თბილისის ოქტომბრის რაიონის დოსაფის კომიტეტმა შარშან მოსახლეობაში სსრ კავშირის დოსაფის მეორე ავტო-მოტოლატარიის 109 ათასი მანეთის ბილეთები გაავრცელა და გეგმა-ვალდებულება 110 პროცენტით შესრულა.

ყველაზე მეტი ბილეთი გაავრცელეს ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, № 1 სამკერვალო ფაბრიკის, მხატვრული ნაწარმისა და სუვენირების ფაბრიკის, საშუალო სკოლების დოსაფის პირველადმა ორგანიზაციებმა.

შემნახველ სალაროებში ახლახან მიღებული ოფიციალური ცხრილის გასინჯვისას აღმოჩნდა, რომ რაიონში მოგებულია 3 ავტომობილი „ვოლგა“, 3 ავტომობილი „მოსკვიჩი-408“, 2 ავტომობილი „ზაპოროჟეცი“, 36 სხვადასხვა ტიპის მოტოციკლი და 13 მოტოველოსიპედი.

ვ. კაკაურიძე,
ოქტომბრის რაიონის დოსაფის კომიტეტის თავმჯდომარე.

როგორია „საერთო“ ნაკრები

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ შეკითხვით მიმართა „ა“ კლასის I ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების უფროს მწვრთნელებს შეედგინათ სსრ კავშირის ნაკრები 1967 წლის შედეგების მიხედვით. უმაღლესი ლიგის მწვრთნელებმა ასე დააკომპლექტეს თავიანთი ნაკრები. გუნდი.

ვ. ბობროვი (ცსკა):
პშენიჩნიკოვი — ისტომინი, შესტერნიოვი, სოსნინი, აფონინი — ვორონინი, ხურცილავა, ძალოფეევი — ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი.

ა. ბრინინი („კირატი“):
პშენიჩნიკოვი — კაპლიჩნი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ცხოვრებოვი — საბო, ესკოვი, ვორონინი — ჩისლენკო, სტრელცოვი, მალოფეევი.

ვ. ივანოვი („ტორპედო“, მოსკოვი):
კავაზაშვილი — აფონინი, ხურცილავა, შესტერნიოვი, დანილოვი — მუნტიანი, ვორონინი, ესკოვი — ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი.

ნ. სიმონიანი („სპარტაკი“):
იაშინი — შჩეგოლკოვი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ანიჩკინი — საბო, ესკოვი, ვორონინი — ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი.

ვ. ბუბუკინი („ლოკომოტივი“):
იაშინი — ხურცილავა, შესტერნიოვი, ანიჩკინი, ბაგრინი — ვორონინი, მასლოვი, ძალოფეევი — სტრელცოვი, მარქაროვი, ჩისლენკო.

ვ. სოლოვიოვი („დინამო“, თბილისი):
პშენიჩნიკოვი — აფონინი, შესტერნიოვი, ანიჩკინი, ძოძუაშვილი — ვორონინი, ხურცილავა, ასათიანი — ჩისლენკო, სტრელცოვი, ბიშოვეცი.

ა. ალოვი („ზენიტი“):
იაშინი — კრულიკოვსკი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ანიჩკინი — ვორონინი, მასლოვი, მალოფეევი— ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი.

ა. ნორაკიძე („ტორპედო“, ქუთაისი):
კავაზაშვილი — ისტომინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, აფონინი — ვორონინი, მედვედი, საბო — ჩისლენკო, სტრელცოვი, ბიშოვეცი.

ი. ბეცა (ასკ, როსტოვი):
კავაზაშვილი — აფონინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ანიჩკინი — მასლოვი, ტურიანჩიკი, საბო — ჩისლენკო, სტრელცოვი, ესკოვი.

ვ. კარპოვი („კრილია სოვეტოვი“):
პშენიჩნიკოვი — აფონინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ცხოვრებოვი — ვორონინი, საბო, მალოფეევი— ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი.

ო. ოშენკოვი („შახტიორი“):
კავაზაშვილი — აფონინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ზიკოვი — მასლოვი, გუსაროვი, მალოფეევი — ჩისლენკო, სტრელცოვი, ევრიუჟინინი.

ვ. ფიოდოროვი („ჩერნომორეცი“):
კავაზაშვილი — ისტომინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, დანილოვი — ვორონინი, მასლოვი, მუნტიანი— ჩისლენკო, სტრელცოვი, ბიშოვეცი.

ე. გორინანსკი („ზარია“):
კავაზაშვილი — ისტომინი, სოსნინინი, ხურცილავა, დანილოვი — ვორონინი, ესკოვი, მალოფეევი — ჩისლენკო, სტრელცოვი, ბიშოვეცი.

ა. ფალიანი („არარატი“):
კავაზაშვილი — შჩეგოლკოვი, სოსნინინი, კრულიკოვსკი, ოსტროვსკი — მასლოვი, საბო, მედვედი— ჩისლენკო, სტრელცოვი, ხმელნიცკი.

ბ. არკადიევი („პახტაკორი“):
პშენიჩნიკოვი — ისტომინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ანიჩკინი — მასლოვი, მუნტიანი, ესკოვი — ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი.

ა. ალესკეროვი („ნეფტიანიკი“):
კავაზაშვილი — ისტომინი, ხურცილავა, ანიჩკინი, შტაპოვი — მასლოვი, მუნტიანი — ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი, ევრიუჟინინი.

ამრიგად, „ა“ კლასის I ჯგუფის 16 მწვრთნელის „გამოკითხვის“ შედეგად ჩვენი ქვეყნის ახლანდელი ნაკრები ასე უნდა გამოიყურებოდეს:

კავაზაშვილი — აფონინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ანიჩკინი — ვორონინი, მასლოვი, მალოფეევი— ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი.

ყველას დაასწრო მ. კანდელაკმა

„ლელოს“ 9 იანვრის ნომერში მკითხველებს ამოსახსნელად შევთავაზეთ პოზიცია ეროვნული ჩემპიონ ი. კუპერმანის ერთ-ერთი პარტიიდან. ამ პატარა კონკურსს პირველხავე დღეს შაშის ბევრი მოყვარული გამოეხმაურა.

უველაზე პირველმა და სწორად ამოხსნა პოზიცია ვ. კანდელაკმა (თბილისი). ჯილდოც — ვ. გოროდეცკის „რუსული შაშის სახელმძღვანელო“ ავტორის, ი. კუპერმანის, ა. ანდრეიკოსა და პ. ლიუკოს ავტოგრაფებით — მან დაიმსახურა.

ასეთივე ჯილდო გადაეცემა პატარა მოშაშეს, 11 წლის ბ. შავერდიანს. მან მეორეს წარმოადგინა მხოფლიო ჩემპიონის კომბინაციის ამომწურავი ამოხსნა.

შესავალი ხვლების შემდეგ 1. ...g5—h4 2. g3—f4 c7—d6 3. c3—d4 შავების პოზიცია უიმედო ჩანს. მაგრამ 3. ...h4—g3!! 4. f2:h2 d8—c7!

შავები იმუქრებიან 5. ...d6—c5 6. d4—c5 c7—d6 7. c5:g5 h6:d2. თუ 5. d4—c5 d6:b4 6. a3:c5, მაშინ 6. ...c7—d6 და ა. შ. თუ კი 5. e3—f4, მაშინ 5. ...f6:g5 და შავები უიიმს აღწევენ.

როცა ხაკონკურსო პოზიცია დაიბეჭდა, თბილისელმა ოსტატმა თ. ბარამიძემ შენიშნა, რომ მეორე ამოხსნაც არსებობს: 4. ...d3—c7. ერთობლივი ანალიზით დავრწმუნდით, რომ ამ ხვლის შემთხვევაში შავები ხაინც აგებენ. აი, ასე:

5. e3—f4! f6—g5 6. d4—e5 g5:e3 7. e5:c7 e3—d2 8. c7—d8 e7—d6 9. g1—f2! d2—c1 10. f2—g3.

ვ. ბობროვეცკი,
დიდოსტატი.

მოცურავეების სარეკორდო ნელი ნაღი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) დაამტკიცა მსოფლიოს ახალი რეკორდები. შარშან სულ 73 მსოფლიო რეკორდი განახლდა (35 ვაჟების და 38 ქალებისა). ასეთი წარმატება მოცურავეებს არასდროს მოუპოვებიათ. აქამდე ყველაზე მოსავლიანი იყო 1962 წელი, როცა 67 რეკორდი გაუმჯობესდა.

შარშან დამხობას გადაურჩნენ მხოლოდ ვაჟთა რეკორდები 200 მეტრზე ბრასით და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, აგრეთვე, ქალთა რეკორდები 100 მეტრზე თავისუფალი სტილითა და ატერფლაით ცურვაში.

ახალი რეკორდების უმეტესობა დამყარებულია 50-მეტრიან და არა იარდიან აუზებში, რაც იმითაა გაპირობებული, რომ მოცურავეები ძალიან სერიოზულად ემზადებიან მეხიკოს ოლიმპიადის სტარტებისთვის.

აი, მსოფლიო რეკორდები ოლიმპიურ დისტანციებზე, რომლებიც შარშან დამყარდა.

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

100 მ თავისუფალი სტილით — კ. უოლში (აშშ) — 52,6
200 მ თავისუფალი სტილით — დ. შოლანდერი (აშშ) — 1.55,7
400 მ თავისუფალი სტილით — გ. ჩარლტონი (აშშ) — 4.08,2
800 მ თავისუფალი სტილით — ფ. ლიუსი (საფრანგეთი) — 8.12,0
1500 მ თავისუფალი სტილით — მ. ბარტონი (აშშ) — 16.34,1
100 მ. ბრასით — ვ. კოსინსკი (სსრ კავშირი) — 1.06,7
100 მ ბატერფლაით — მ. შპიტცი (აშშ) — 55,7
200 მ ბატერფლაით — მ. შპიტცი — 2.05,7
100 მ გულაღმა — რ. მატესი (გდრ) — 58,4
200 მ გულაღმა — რ. მატესი — 2.07,9
200 მ კომპლექსური — გ. ბეკინგჰემი (აშშ) — 2.11,1
ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით — აშშ-ს ნაკრები — 3.32,6
კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ — გდრ-ის ნაკრები — 3.56,5.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

200 მ თავისუფალი სტილით — ს. კრუზი (აშშ) — 2.09,7.
400 მ თავისუფალი სტილით — დ. მაიერი (აშშ) — 4.29,0
800 მ თავისუფალი სტილით — დ. მაიერი — 9.22,9
1500 მ თავისუფალი სტილით — დ. მაიერი — 17.50,2
100 მ ბრასით — კ. ბოლი (აშშ) — 1.14,6
200 მ ბრასით — კ. ბოლი — 2.39,5
200 მ ბატერფლაით — ა. კოკი (ჰოლანდია) — 2.21,0
100 მ გულაღმა — ე. ტენერი (კანადა) — 1.07,1
200 მ გულაღმა — ე. ტენერი — 2.24,4
200 მ კომპლექსური ცურვა — კ. კოლბი (აშშ) — 2.25,0
400 მ კომპლექსური ცურვა — კ. კოლბი — 5.08,2
ესტაფეტა 4×100 მ — აშშ-ს ნაკრები — 2.03.5
კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ — აშშ-ს ნაკრები — 4.30,0.

ᲕᲘᲜᲐᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ?

უᲔᲪᲘᲘᲡ ფეხბურთის მესვეურნი თავს იმტვრევენ იმაზე, თუ როგორ გაზარდონ მაყურებელთა რიცხვი სტადიონებზე, რომელიც ბოლო ხანებში კატასტროფულად მცირდება.

განსაკუთრებულ კრიზისს განიცდიან სტოკჰოლმის საფეხბურთო კლუბები. ამ მოვლენას იმითაც ხსნიან, რომ შვეიცარიაში სატრანსპორტო მოძრაობა სულ ახლახან შეცვალეს (მოძრაობა ახლა წარმოებს მარჯვენა მხარეს) და ვინაიდან სტოკჰოლმის სტადიონები ქალაქგარეთ მდებარეობენ, მანქანების მფლობელები ამჯობინებენ ფეხბურთის მატჩებს შინ უყურონ ტელევიზორით.

მართლა სატრანსპორტო მოძრაობის წესის შეცვლაა შვეიცარიის სტადიონებზე მაყურებელთა რაოდენობის შემცირების მიზეზი, თუ ფეხბურთელთა კლასის დაქვეითება?

ᲠᲘᲕᲔᲠᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲐᲪᲝᲚᲐᲪ

როგორც იტალიაში ჩატარებული მრავალრიცხოვანი საახალწლო რეფერენდუმების შედეგები ცხადყოფს, ფეხბურთი კვლავ რჩება სპორტის № 1 სახეობად ამ ქვეყანაში.

„წლის სპორტსმენად“ იტალიაში აღიარებულ იქნა „მილანის“ ფეხბურთელი რივერა. II ადგილზეა ველოსიპედისტი ჯიმონდი, მესამეზე — „ინტერის“ ფეხბურთელი მაცოლა.

ჯ. რივერა ახლა შეს ნიშნავ ფორმაში. იფიქრებდა, იქნებ, ალბათ, იტალიის ნაკრების ახლანდელი ვერტონელი, ეროვნული გუნდის წინანდელი მწვრთნელის ე. ფაბრის ფავორიტებს, ოღონდ კვლავ დაეარეგნენ „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში. ამავე დროს „მილანი“, რომლის კაპიტანიც რივერაა (იგი 23 წლისაა), დამაჯერებლად ლიდერობს იტალიის ჩემპიონატში.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

I ლიგის დებიუტანტი „აიაჩო“ (კუნძული კორსიკა) თამაშს თამაშზე იგებს და ამჟამად V ადგილზე იმყოფება. XX ტურში კორსიკელებმა შინ მოუგეს „ანჟეს“ — 4:0. 2 ბურთი გაიტანა სანსონეტიმ, რომელიც 14 გოლით ლიდერობს სნაიპერთა სიას.

„სენტ-ეტიენმა“ მწვავე ბრძოლაში სძლია „ბორდოს“ (2:1) და ახლა 8 ქულით უსწრებს დანარჩენებს.

	თ.	ბ.	ქ.
„სენტ-ეტიენი“	20	42:15	32
„ბორდო“	20	37:23	24
„ნიცა“	20	30:23	24

ᲒᲤᲠ

„ნიურნბერგი“ დიდი ხანია ლიდერობს გფრ-ის ჩემპიონატში და, მიმომხილველთა აზრით, კლუბის წარმატებას იუგოსლავიელი ჩებინაცის ბრწყინვალე თამაში განაპირობებს. განვლილ ტურში ლიდერი აგებდა გასვლით მატჩს „კარლსრუესთან“ და ჩებინაცმა გუნდს ქულა მოუტანა — 1:1.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბაიერნი“—„ალემანია“ 4:1, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „დუისბურგი“ 4:3, „ჰამბურგერ შფ“ — „ვერდერი“ 2:1.

„ნიურნბერგი“	18	46:18	28
„ბაიერნი“ (მიუნჰ.)	18	37:34	22
„მიუნჰენ-1860“	17	34:20	20

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

წლევანდელი სეზონის სენსაციაა იზმირის „გეზთეფეს“ წარმატება, რომელმაც ბაზრობათა თასის გათამაშებიდან გამოთიშა ცნობილი ესპანური კლუბი „ატლეტიკო“ (მადრიდი). მაგრამ ბოლო ტურებში „გეზთეფემ“ დათმო ლიდერობა, კერძოდ მან XIV ტურში კიდევ 1 ქულა დაკარგა „ესკიშეჰირსპორთან“ — 1:1.

„ფენერბახჩე“ (სტამბოლი)	14	17:9	21
„ბეშიქთაში“ (სტამბოლი)	14	22:11	20
„გეზთეფე“ (იზმირი)	14	22:15	18

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

XX ტურში „აიაქსმა“ ფრედ დაამთავრა გასვლითი მატჩი „უტრეჰტთან“ — 1:1, ხოლო როტერდამის „ფეიენოორდმა“ კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად, „ნიმეგენთან“ — 2:0.

„ფეიენოორდი“	20	55:13	35
„აიაქსი“	20	58:10	32
ადო (ჰაგა)	19	32:19	27

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ქვეყნის ჩემპიონმა — ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ XIV ტურში წაგო გასვლითი მატჩი „შარლეროუასთან“ (0:1), ხოლო „ფკ ბრიუჟმა“ მოუგო „ანტვერპენს“ — 2:0. ამის შედეგად „ანდერლეხტმა“ ლიდერობა „ფკ ბრიუჟს“ დაუთმო.

„ფკ ბრიუჟი“	14	27:9	21
„ანდერლეხტი“	14	32:14	20
„სტანდარდი“ (ლიეჟი)	14	25:18	19

მოკლედ

● **1967 ᲬᲚᲘᲡ** საუკეთესო ფეხბურთელად იტალიაში გამოცხადდა „კალიარისა“ და იტალიის ნაკრების მარცხენა გარემარბი, 24 წლის ლუიჯი რივა. ევროპის ჩემპიონატის მატჩებში რივამ 5 გოლი გაიტანა.

● **ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ** ფეხბურთის ფედერაციამ 6 თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა ლისაბონის „ბენფიკის“ მოთამაშე კოლუნას: მან ხელი გაარტყა „სპორტინგის“ ცენტრალურ თავდამსხმელს ფიგეირედოს.

● **ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ** ყველაზე ძვირად ღირებულ ფეხბურთელად აქამდე შოტლანდიელი დ. ლოუ ითვლებოდა („მანჩესტერ იუნაიტედმა“ იგი 16 ათას გირვანქა სტერლინგად იყიდა). ამ დღეებში „საუთჰემპტონისა“ და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრფორვარდი მ. ჩივერსი 125 ათას გირვანქა სტერლინგად შეიძინა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ და დამატებით დაუთმო „საუთჰემპტონს“ თავისი ცენტრალური თავდამსხმელი ფ. სოული.

საუბარი ე. მილერთან

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ცნობილი ჰაიდ პარკიდან რამდენიმე წუთის საველზე დგას თეთრი ვილა, რომელშიც მოთავსებულია მსოფლიოში ყველაზე უძველესი ფეხბურთის ფედერაცია — ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია.

გაზეთ „დოიჩეს შპორტეჰოს“ (გდრ) კორესპონდენტი ამას წინათ ეწვია ასოციაციის მთავარ დირექტორს ე. მილერს, რომელსაც ინგლისური ფეხბურთის მოაზროვნე ქრონიკას უწოდებენ. იგი აქ 45 წელია მუშაობს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შენობა სავსეა სხვადასხვა სახის ჯილდოებით, თასებით, სურათებით და დირექტორმა ზეპირად იცის თვითეული მათგანის ისტორია. როგორია საფეხბურთო სიტუაცია დღეს ინგლისში? ეს იყო „შპორტეჰოს“ კორესპონდენტის საუბრის თემა მილერთან. მან აღნიშნა, რომ ინგლისის ნაკრები საგულდაგულოდ ემზადება 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის და გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. რამსეიმ სპეციალურად შეისწავლა მექსიკის გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, სიმაღლე, სათამაშო მინდვრები და სხვ. მსოფლიო ჩემპიონთა შორის უმეტესობა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ამიტომ მათ საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში. თუმცა, მწვრთნელი პერიოდულად სინჯავს ახალ მოთამაშეებსაც.

— საერთოდ, — აღნიშნა მილერმა, — ინგლისს საკმაო რაოდენობით ჰყავს მაღალი კლასის ფეხბურთელები, პირველხარისხოვანი გუნდები, რომელთაგან შეიძლება ძლიერი ნაკრების დაკომპლექტება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რამსეის მიერ შერჩეული 11 ფეხბურთელიდან, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს 1966 წელს, ყველა არ იყო ინგლისის საუკეთესო მოთამაშე თავიანთ ადგილებზე, მაგრამ თამაშის მანერით, ხასიათით, ტემპერამენტით, ტაქტიკური აზროვნებით ისინი შეესაბამებოდნენ მწვრთნელის მიერ გათვალისწინებულ მონოლითურ კოლექტივს. ამიტომ იყო, რომ რამსეი ყურადღებას აქცევდა არა მქუხარე სახელებს, არამედ საერთო სულისკვეთებას.

მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიხვეჭეს, ამ ქვეყნის სტადიონებზე საგრძნობლად გაიზარდა მაყურებელთა დასწრება და, საერთოდ, საფეხბურთო ცხოვრება შესამჩნევად გამოცოცხლდა. დასასრულ, მილერმა დაახასიათა მოწინავე ინგლისური კლუბების თამაში.

„კომგის თასი“ — ᲪᲝᲤᲤᲡ

იტალიის. ფეხბურთის ფედერაცია ყოველი წლის ბოლოს უძლიერეს მეკარეს გადასცემს სპეციალურ თასს, რომელიც 30-იანი წლების „სკუადრა აძურას“ ცნობილი მეკარის კომბის სახელს ატარებს. ეს თასი უკანასკნელ ხანებში ჰქონდათ ნეგრის, სარტის, ანძოლინს, ალბერტოზის.

1967 წლის სეზონის შედეგებით იტალიის უძლიერეს მეკარედ მიჩნეულ იქნა დინო ცოფფი („ნაპოლი“).

ᲓᲐᲜᲘᲜᲐᲣᲠᲚᲘ ᲒᲠᲘᲜᲘ

როგორც ვიტყობინებოდით, სამთომოთხილამურე ქალთა „მსოფლიო თასის“ წლევანდელი გათამაშების პირველი შეხვედრები ობერშაუფენში (გფრ) გაიმართა, სადაც დედამიწის საუკეთესო სპორტსმენებმა მოიყარეს თავი: გიგანტური სლალომის შემდეგ ისინი სპეციალურ სლალომში ცდიდნენ ძალას.

აქ ყველას აკობა პრიზის შარშანდელ გათამაშებაში II ადგილზე გასულმა მარიელ გოიჩელმა (საფრანგეთი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გაბიელი (ავსტრია), თასის მფლობელი გრინი (კანადა), ფარინგერი (გფრ) და ფამოზი (საფრანგეთი).

ორი სახეობის შემდეგ დაწინაურდა გრინი, რომელსაც 30 ქულა აქვს. მას 5-5 ქულით ჩამორჩებიან მ. გოიჩელი და ბოშატიე (შვეიცარია). გაბიელი 23 ქულით IV ადგილზეა.





თუ გახსოვთ, ამას წინათ ჩვენ ერთი თავზეხელაღებული ამერიკელი მოტოციკლისტის რობერტ ნიველის ამბავი გიამბეთ. ამ კაცმა ბევრჯერ და სხვადასხვა გზით სცადა თავისი ცხოვრების უზრუნველყოფა, მაგრამ ამაოდ. მაშინ მან გადაწყვიტა ორბორბლიანი მოტოციკლით დიდ კანიონზე გადახტომა ეცადა, რისთვისაც მილიონ დოლარს დაპირდნენ. მაგრამ ეს სასიკვდილო ნახტომი უფსკრულზე, რომლის სიგანე 2896 მეტრია და სიღრმე 915, გადაიდო: ნიველი ლას-ვეგასის საავადმყოფოში წევს.

რა მოხდა? ლას-ვეგასი ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული გასართობი ადგილია ამერიკის შეერთებულ შტატებში. გართობის ორგანიზატორებმა ტვისტისა და სტრიპტიზების შემდეგ გადაწყვიტეს მაყურებლისთვის ტრიუკი შეეთავაზებინათ. სპორტსმენი უნდა გადავლეოდა შადრევნებს, რომლებიც 50 მეტრზე სცემდნენ. ჩქეფდნენ შადრევნები, წკრიალებდნენ დოლარები. სანახაობა მართლაც რომ უჩვეულო უნდა ყოფილიყო.

...მანქანა დაიძრა, მაგრამ სიჩქარე უკმარი აღმოჩნდა: საათში 148 კილომეტრი, ნაცვლად 168 კილომეტრისა. მოტოციკლისტი დაეცა, დაიმტვრა.

ნიველს კანიონზე გადახტომა ჰქონდა განზრახული. ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამ განზრახვას, მაგრამ უბედურება, როგორც ხედავთ, კიდევ უფრო ადრე დატრიალდა. სურათებზე სწორედ ეს ტრაგედიაა აღბეჭდილი.



◆ **ᲑᲔᲒᲔᲠᲕᲔᲘᲙᲘ**, 13 იანვარი. მოგადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირი საინტერესოდ და მწვავე ბრძოლით ხასიათდება. 8 ტურის შემდეგ ლიდერობს ლენინგრადელი კორჩნოი, რომელსაც 2 ქულა და 1 გადადებული პარტია (ბულგარელ პადევსკისთან) აქვს. III ტურში მან ფარ-ხმალი დააყრევინა ბულგარელ ბობოცოვს, რიგელმა ტალმ მოუგო ჰოლანდიელ ლანგეველს და 2 ქულით ლიდერთა ჯგუფშია. III ტურის დანარჩენი შეხვედრები (ივანოვი — რეე, კარაკლაიჩი — მატანოვიჩი, როსოლიმო — პადევსკი, დონერი — ჰორტი, ჩირჩი — გეორგიუ, ვან გეტი — პორტიში) ყაიმით დამთავრდა.

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

ИНДЕКС 66448 საქ. კკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 **УЭ 07816**